კლასის დამრიგებლის ფიქრები

ავტორი ეთერ კაკალაძე

ბოლო დროს საჯარო სკოლის მოსწავლეების გახმაურებულმა ამბებმა თითქმის ყველა დაგვაფიქრა და მოგვცა საფუძველი ვიმსჯელოთ – სკოლებში ნაკლები ყურადღება ხომ არ ექცევა მოზარდების პიროვნულ-ეთიკურ-ზნეობრივ აღზრდას და სკოლა ძირითადად აკადემიური ცოდნის მიწოდებით ხომ არ შემოიფარგლება?

მოზარდი თაობის აღზრდა ძირითადად სამ რგოლს ევალება: სკოლა, ოჯახი, საზოგადოება. ყველაზე კომპეტენტური სკოლაა, რადგან აქ მოზარდები პროფესიული ნიშნით შერჩეულ აღმზრდელებთან ურთიერთობენ და რადგანაც სკოლის მთავარი მიზანი პიროვნების აღზრდაა, ამიტო სკოლამ უნდა იზრუნოს მოზარდის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე.

კლასის დამრიგებლის 11-პუნქტიანი მოვალეობები ძირითადად ტექნიკური ხასიათისაა, საგნის მასწავლებლები საგანს ასწავლიან! ბუნდოვანია, ვინ ზრუნავს მოზარდების ფსიქოლოგიურ სახეზე.

კლასის დამრიგებელს, რომელიც საგანს ასწავლის და დღეში 2-3-4 კლასთან უხდება ურთიერთობა, დამრიგებლის მოვალეობის სრულფასოვნად შესრულება უჭირს. დამრიგებელი დიდ როლს თამაშობს მოსწავლეთა ჯანსაღი ცხოვრების წესის აღზრდაში, პროფესიულ ორიენტაციაში. დამრიგებელი უნდა ზრუნავდეს მოსწავლეთა ასაკობრივ განვითარებაზე. რჩევებით, ოჯახთან თანამშრომლობით, მოსწავლესთან სწორი კომუნიკაციით უნდა ცდილობდეს, აღსაზრდელებს თავიდან ააცილოს ნაადრევი ქორწინება და მასთან დაკავშირებული პრობლემები. აღსაზრდელთა ხასიათისა და თვისებების ცოდნა დაეხმარება მას მოზარდთა შორის ძალადობის, ბულინგის შემთხვევების თავიდან აცილებაში.

ვფიქრობ, დამრიგებელს უნდა ჰქონდეს მცირე საათები, უნდა იყოს პროფესიული უნარებით შეიარაღებული და ჰქონდეს ღირსეული ანაზღაურება. ასევე კარგი იქნება, არსებობდეს სახელმძღვანელო „სასკოლო-საოჯახო ეთიკა და ფსიქოლოგია“, რომლითაც იხელმძღვანელებს დამრიგებელი და რომელშიც თავმოყრილი და გაშუქებული იქნება ყველა ის პრობლემა, რომლებიც მოზარდების აღზრდას შეეხება და დამრიგებელს დაეხმარება, მისცეს მიზარდს სწორი რჩევები, რათა გახდეს წარმატებული და მოახერხოს ნიჭისა და უნარების რეალიზება.

ზოგიერთ რეგიონში აქტუალური პრობლემაა ნაადრევი ქორწინება და მისი შედეგები (განქორწინებათა რიცხვმა საქართველოში კატასტროფულ ნიშნულს მიაღწია! 2017 წლისთვის 9080 წყვილი განქორწინდა). მოზარდებს არავინ ესაუბრება ცხოვრებაზე, ქორწინებაზე, პასუხისმგებლობაზე, რომ დაქორწინება თამაში არ არის, არამედ უდიდესი პასუხისმგებლობაა. მოზარდმა უნდა იცოდეს არამარტო თავისი უფლებები, არამედ მოვალეობებიც.

მოზარდების მორალურ-ეთიკურ აღზრდაზე ხშირად მსჯელობენ საზოგადოების სხვადასხვა წრეებში (სამწუხაროდ, არავინ არაფერს ეკითხება პედაგოგებს). აღიარებენ, რომ სკოლას უშველის მანდატური, ვიდეოთვალი, დეტექტორი, პოლიციის ხშირი სტუმრობა სკოლაში, სასულიერო პირთა მოღვაწეობა...

ვფიქრობ, ვერცერთი მათგანი ვერ მოხსნის სკოლის პრობლემებს. ისინი ვერ აღზრდიან და ურთიერთობის დალაგებაში ვერ დაეხმარებიან მოზარდებს. ვერც მანდატური და ვერც მთელი ბატალიონი სამართალდამცველებისა ამას ვერ შეძლებს, რადგან შიშით შექმნილი წესრიგი სადღაც სხვაგან იჩენს თავს, გარდა სკოლისა. ნუთუ ასეთი „წესრიგით“აღზრდილი საზოგადოება გვინდა?

სკოლის პრობლემა პირდაპირ გადაჯაჭვულია საზოგადოებისა და ოჯახის პრობლემებთან, განსაკუთრებით ნაადრევ ქორწინებასა და მის შედეგებთან, რაც ამ სფეროში ნაკლები ინფორმირებულობის ბრალია, სკოლის მიზანი მარტო აკადემიური ცოდნის მიწოდება არ არის, სკოლამ მოზარდი მომავალი ცხოვრებისთვისაც უნდა მოამზადოს.

მინდა ჩემი გამოცდილებიდან რამდენიმე ეპიზოდი გაგიზიაროთ:

მე-7 კლასელი ნ.გ. კარგი მოსწავლეა, ძალიან ვუყვარვარ, მეც მომწონს მისი ცოცხალი, ბავშვური, ხალასი ხასიათი. იგი ხშირად ცდილობს ფიზიკურად ახლოს იყოს ჩემთან, ხელს ჩამომდებს მოკრძალებულად, ლამის თვალებში ჩამიძვრეს. მის თვალებში ხშირად ვხედავ სევდას. თურმე მშობელები გაშორებული არიან! დედა საზღვარგარეთ მუშაობს, დები პერიოდულად ბებიასთან არიან. როცა ბებიის ოჯახიდან ბრუნდება, ძალიან გაღიზიანებულია, დათრგუნილია, ყურადღებით არ არის, ხშირად ეჩრება სხვის საქმეში და უხეშობს. ამას ვგრძნობ და ხშირად ხელის ხელზე მოკიდებით ვაგრძნობინებ, რომ მიყვარს და თანავუგრძნობ. სამწუხაროდ, კლასში ასეთი 5 მოსწავლეა. ერთხელ გაკვეთილზე ს.ც-მ წესრიგი დაარღვია და მკაცრად მივუთითე. ნ.გ-მ იფეთქა: „რას ერჩით ყველა მასწავლებელი მაგას? იგი ყველაზე კარგი ბიჭია მთელ სკოლაში!“. გავოცდი, ნ.გ-სგან ასეთ რეაქციას არ მოველოდი, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ეს იყო ს.ც-სადმი სოლიდარობა! (მისი მშობლებიც გაცილებული არიან). ასეთი ბავშვების გულს ვერაფრით მოიგებ. მათი ისტერიული, უხეში ქცევები ქვეცნობიერი პროცესებია და არ ვიცით სად და როდის იჩენს თავს. მოზარდი ზოგჯერ უკიდურესობამდე მიდის და ყოველ ღონეს ხმარობს თავისი ამბიციურობის დასაკმაყოფილებლად ან პირიქით დეპრესიული და უიმედო ხდება.

მოცემულმა ინციდენტმა დამაფიქრა. ამიტომ ჩემ გარშემო მცირე კვლევა ჩავატარე და სამწუხაროდ, ძალიან ცუდი სურათი მივიღე. ინტერნეტში მოძიებული ციფრებიც ხომ კატასტროფულია ქვეყნისთვის: 2000 წელს 1000 ოჯახი დაინგრა, 2001წელს – 1987, 2002 – 1836, 2003 – 1825, 2004 – 1793, 2005 – 1928, 2006 – 2060, 2007 – 2325, 2008 – 3189, 2009 – 4030, 2010 – 4726, 2011 – 5850, 2012 – 7136, 2013 – 8089, 2014 – 9019.

სწორედ ნაადრევი ქორწინების, ბულინგისა თუ სხვა პრობლემების გადასაჭრელად სკოლებში დამრიგებლის როლი უნდა გაიზარდოს და ამის პარალელურად უნდა დაიშვას საგანი -“სასკოლო-საოჯახო ეთიკა და ფსიქოლოგია“, რომელშიც განხილული იქნება მნიშვნელოვანი საკითხები ნაადრევ ქორწინებაზე. მოზარდის აღზრდაზე ოჯახში, ქცევის წესებზე და სამართლებრივ ნორმებზე. სახელმძღვანელო გამდიდრებული უნდა იყოს ცხოვრებისეული მაგალითებით. ყოველ თემას უნდა ახლდეს თავისი აქტივობები: ანკეტირება, დისკუსია, ინტერვიუ, რეფერატი, სიტუაციური ამოცანები განსახილველი ფილმების ნუსხა და ა.შ.

“სასკოლო-საოჯახო ეთიკისა და ფსიქოლოგიის“ სკოლაში დაშვება და სწავლება თავიდან ააცილებს მოზარდს ნაადრევ ქორწინებას; დაეხმარება საკუთარი პიროვნების შეცნობაში, თვითაღზრდასა და ჩამოყალიბებაში; საოჯახო ცხოვრებისთვის მომზადებაში; ეთიკურ-ესთეტიკური საკითხების სწორად გააზრებაში; ოჯახური ურთიერთობის სწორად წარმართვაში; თავიანთი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში; წიგნიერების დონის, ინტელექტის ამაღლებაში; აგრეთვე, დაეხმარება მშობელს შვილის აღზრდაში; საზოგადოებაში მისი ადგილის დამკვიდრებაში.